ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

KA000065317779616

5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 ტელ: 5(99) 856 577 ელ.ფოსტა
info.gamgeoba@gmail.com

№ 1174-ს

18 / ნოემბერი / 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსის წესით

შესავსები ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად

საჯარო კონკურსის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის", საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე და 31-ე მუხლების, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილების, ,,ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის N12 დადგენილებისა და ,,ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გამგეობის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 აგვისტოს #23 დადგენილების შესაბამისად ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით www.hr.gov.ge.
2. ეთხოვოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად.
3. განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსის წესით შესავსები თანამდებობების ნუსხა დანართის თანახმად.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

გამგეზელი

დათო გოგუა

დანართი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების ნუსხა

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსიის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	**ადმინისტრაციული სამსახური**		
ა)	საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და კადრების განყოფილების უფროსი სპეციალისტი	1	530
ბ)	ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი	2	470
2	**ეკონომიკის, ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახური**		
ა)	ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის, სტატისტიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი	1	810